

2023

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3-6

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	10

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები:

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა.....	11
2. მომზადების საფუძვლები.....	12
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	13
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები.....	22
5. წინა პერიოდის შესწორება და მსს ფასს-დან ფასს-ზე გადასვლის ეფექტი.....	23
6. ამონაგები.....	25
7. თვითღირებულება.....	25
8. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	25
9. ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობა.....	26
10. მოგება შეწყვეტილი ოპერაციიდან.....	26
11. ძირითადი საშუალებები.....	28
12. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში.....	29
13. გაცემული სესხები.....	29
14. აქტივის გამოყენების უფლება.....	30
15. მარაგები.....	30
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	31
17. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	32
18. საწესდებო კაპიტალი.....	32
19. სესხები.....	32
20. საიჯარო ვალდებულებები.....	33
21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	33
22. ფინანსური რისკის მართვა.....	34
23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	37
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....	38

მმართველობის ანგარიშგება

39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პრინტ ჰაუს ინვესტმენტის“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტის“-ს და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ 2024 წლის 18 აპრილს, აქედან გამომდინარე ვერ შევძელით დავსწრებოდით მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს შპს ფავორიტ სტილში საანგარიშგებო წლის ბოლოს. ჩვენ ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მარაგების ოდენობის სისრულესა და არსებობაზე, რომელიც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 2,548,097 ლარის ოდენობით. აღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ თუ აღურიცხავ მარაგებში, ასევე კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებათა შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, ვინაიდან მარაგების ნაშთი მონაწილეობს კონსოლიდირებული ფინანსური შედეგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების განსაზღვრაში.

ჩვენ ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შვილობილი კომპანია შპს პოლიგრაფიული ჰაბის ძირითადი საშუალებების ოდენობის სისრულესა და სიზუსტეზე, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 3,854,717 ლარის ოდენობით. აღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ თუ აღურიცხავ ძირითად საშუალებებზე, ასევე კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებათა შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში არ გაამჟღავნა საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება, როგორც ეს მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს) 40-ის 79-ე პუნქტით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გუდვილი წარმოდგენილია 6,089,937 ლარით. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნული გუდვილის ღირებულების სისწორეზე. აგრეთვე ჯგუფს არ შეუმოწმებია საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით წარმოშობილი გუდვილის გაუფასურება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ბასს 36-ის მოთხოვნების მიხედვით. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პრინტ ჰაუს ინვესტმენტის“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:
დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“-ს და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ 2024 წლის 18 აპრილს, აქედან გამომდინარე ვერ შევძელით დავსწრებოდით მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს შპს ფავორიტ სტილში საანგარიშგებო წლის ბოლოს. ჩვენ ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მარაგების ოდენობის სისრულესა და არსებობაზე, რომელიც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 2,548,097 ლარის ოდენობით. აღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ თუ აღურიცხავ მარაგებში, ასევე კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებათა შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, ვინაიდან მარაგების ნაშთი მონაწილეობს კონსოლიდირებული ფინანსური შედეგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების განსაზღვრაში.

ჩვენ ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შვილობილი კომპანია შპს პოლიგრაფიული ჰაბის ძირითადი საშუალებების ოდენობის სისრულესა და სიზუსტეზე, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 3,854,717 ლარის ოდენობით. აღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ თუ აღურიცხავ ძირითად საშუალებებზე, ასევე კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებათა შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში არ გაამჟღავნა საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება, როგორც ეს მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს) 40-ის 79-ე პუნქტით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გუდვილი წარმოდგენილია 6,089,937 ლარით. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნული გუდვილის ღირებულების სისწორეზე. აგრეთვე ჯგუფს არ შეუძლონ საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით წარმოშობილი გუდვილის გაუფასურება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ბასს 36-ის მოთხოვნების მიხედვით. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გუდვილის ნაშთთან დაკავშირებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამის ელემენტებზე ამავე თარიღში დასრულებული წლისთვის. შესაბამისად, ვერ მოხერხდა, გუდვილის წარდგენა ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როგორც ეს მოითხოვება ფასს10-ის მიხედვით.

როგორც აღნიშნულია ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში, ჯგუფის ხელმძღვანელობამ 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განახორციელა გარკვეული ცვლილებები და აღიარა ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებულ შემოსულობა, რომელიც შეადგენს 3,573,836 ლარს. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რათა გადაგვემოწმებინა აღნიშნული შემოსულობის გაანგარიშების სიზუსტე და სისრულე. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის აღრიცხულ ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებულ შემოსულობაში, ასევე ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - შესადარისი ინფორმაციის შესწორება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ასევე ჩავატარეთ მე-5 შენიშვნაში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც, რომელიც ეხება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. შესადარისი ინფორმაციაზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურები შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შესწორებებით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებულ შემოსულობასთან მიმართებით.

სხვა გარემოება

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის აუდიტირებული იყო სხვა აუდიტორული ფირმის მიერ, რომელმაც გამოთქვა პირობითი მოსაზრება შესაბამის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 28 სექტემბერს.

სხვა ინფორმაცია - ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გუდვილის ნაშთთან დაკავშირებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული

ანგარიშგების შესაბამის ელემენტებზე ამავე თარიღში დასრულებული წლისთვის. შესაბამისად, ვერ მოხერხდა, გუდვილის წარდგენა ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როგორც ეს მოითხოვება ფასს10-ის მიხედვით.

როგორც აღნიშნულია ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში, ჯგუფის ხელმძღვანელობამ 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განახორციელა გარკვეული ცვლილებები და აღიარა ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებულ შემოსულობა, რომელიც შეადგენს 3,573,836 ლარს. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რათა გადაგვემოწმებინა აღნიშნული შემოსულობის გაანგარიშების სიზუსტე და სისრულე. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის აღრიცხულ ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებულ შემოსულობაში, ასევე ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - შესადარისი ინფორმაციის შესწორება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ასევე ჩავატარეთ მე-5 შენიშვნაში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც, რომელიც ეხება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. შესადარისი ინფორმაციაზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურები შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შესწორებებით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებულ შემოსულობასთან მიმართებით.

სხვა გარემოება

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის აუდიტირებული იყო სხვა აუდიტორული ფირმის მიერ, რომელმაც გამოთქვა პირობითი მოსაზრება შესაბამისი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 28 სექტემბრის.

სხვა ინფორმაცია - ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა

არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს ამგვარად არ მოქცევის რეალური არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები ზედამხედველობენ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფას-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს ამგვარად არ მოქცევის რეალური არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები ზედამხედველობენ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სადირიჯზო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სადირიჯზო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპონენტების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, ჯგუფის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხედენილია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

30 დეკემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გაგვლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპონენტების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, ჯგუფის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხედენილია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

30 დეკემბერი, 2024

თბილისი, საქართველო



შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022*
ამონაგები	6	89,046,716	54,358,887
თვითღირებულება	7	(63,239,640)	(39,587,609)
საერთო მოგება		25,807,076	14,771,278
თანამშრომელთა ხელფასები		(7,624,921)	(6,432,422)
ცვეთა და ამორტიზაცია		(661,370)	(505,276)
კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯები		(1,349,901)	(1,346,131)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(4,222,698)	(1,093,187)
საოპერაციო მოგება		11,948,186	5,394,262
არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი), წმინდა		(77,345)	1,239,937
ფინანსური შემოსავალი	13	227,722	153,161
ფინანსური ხარჯი	19	(2,803,066)	(1,596,375)
წმინდა მოგება / (ზარალი) საკუთროს სხვაობიდან		(413,065)	2,675,690
ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობა	9	-	3,573,836
მოგება დაბეგრამდე		8,882,432	11,440,511
მოგების გადასახადის ხარჯი		(80,100)	(30,621)
წლის მოგება განგრძობით ოპერაციებიდან		8,802,332	11,409,890
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	10	-	909,250
წლის წმინდა მოგება		8,802,332	12,319,140
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		8,802,332	12,319,140

	2023	2022
<i>მათ შორის:</i>		
მშობელი კომპანიის მფლობელთა წილი	4,401,166	8,241,264
არამაკონტროლებელი წილი	4,401,166	4,077,876
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	8,802,332	12,319,140

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი რეკლასიფიკაციის შედეგს.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 დეკემბერს:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

11-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტს“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)


	შენიშვნა	2023	2022*
ამონაგები	6	89,046,716	54,358,887
თვითღირებულება	7	(63,239,640)	(39,587,609)
საერთო მოგება		25,807,076	14,771,278
თანამშრომელთა ხელფასები		(7,624,921)	(6,432,422)
ცვეთა და ამორტიზაცია		(661,370)	(505,276)
კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯები		(1,349,901)	(1,346,131)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(4,222,698)	(1,093,187)
საოპერაციო მოგება		11,948,186	5,394,262
არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი), წმინდა		(77,345)	1,239,937
ფინანსური შემოსავალი	13	227,722	153,161
ფინანსური ხარჯი	19	(2,803,066)	(1,596,375)
წმინდა მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან		(413,065)	2,675,690
ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობა	9	-	3,573,836
მოგება დაბეგრამდე		8,882,432	11,440,511
მოგების გადასახადის ხარჯი		(80,100)	(30,621)
წლის მოგება განგრძობით ოპერაციებიდან		8,802,332	11,409,890
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	10	-	909,250
წლის წმინდა მოგება		8,802,332	12,319,140
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		8,802,332	12,319,140

	2023	2022
მათ შორის:		
მშობელი კომპანიის მფლობელთა წილი	4,401,166	8,241,264
არამაკონტროლებელი წილი	4,401,166	4,077,876
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	8,802,332	12,319,140

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი რეკლასიფიკაციის შედეგს.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 დეკემბერს:


დირექტორი


ფინანსური დირექტორი

11-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	28,091,836	19,736,866
საინვესტიციო ქონება		243,653	239,571
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	12	2,114,378	2,262,161
გუდვილი		6,089,937	5,871,244
არამატერიალური აქტივები		180,596	162,296
გაცემული სესხები	13	845,376	422,887
აქტივი გამოყენების უფლებით	14	2,399,843	3,089,913
სულ გრძელვადიანი აქტივები		39,965,619	31,784,938
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	15	9,008,267	8,420,773
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	12,309,294	10,524,653
გაცემული სესხები	13	1,317,254	995,413
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	1,682,265	1,171,004
სულ მიმდინარე აქტივები		24,317,080	21,111,843
სულ აქტივები		64,282,699	52,896,781
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	4,895,658	4,895,658
გაუნაწილებელი მოგება		2,054,758	50,139
არამაკონტროლებელი წილი		13,013,672	10,506,579
სულ კაპიტალი		19,964,088	15,452,376
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	19	22,316,289	15,789,671
საიჯარო ვალდებულებები	20	1,662,744	2,358,462
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		23,979,033	18,148,133
მიმდინარე ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	19	6,669,885	9,919,703
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	13,036,055	8,774,912
საიჯარო ვალდებულებები	20	633,638	601,657
სულ მიმდინარე ვალდებულებები		20,339,578	19,296,272
სულ ვალდებულებები		44,318,611	37,444,405
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		64,282,699	52,896,781

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი რეკლასიფიკაციის შედეგს.

*მოიცავს პერიოდს ჯგუფის დაარსებიდან - 2022 წლის 12 აპრილიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 დეკემბერს:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

11-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	28,091,836	19,736,866
საინვესტიციო ქონება		243,653	239,571
ინვესტიციები მეცავშირე საწარმოებში	12	2,114,378	2,262,161
გუდვილი		6,089,937	5,871,244
არამატერიალური აქტივები		180,596	162,296
გაცემული სესხები	13	845,376	422,887
აქტივი გამოყენების უფლებით	14	2,399,843	3,089,913
სულ გრძელვადიანი აქტივები		39,965,619	31,784,938
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	15	9,008,267	8,420,773
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	12,309,294	10,524,653
გაცემული სესხები	13	1,317,254	995,413
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	1,682,265	1,171,004
სულ მიმდინარე აქტივები		24,317,080	21,111,843
სულ აქტივები		64,282,699	52,896,781
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	4,895,658	4,895,658
გაუნაწილებელი მოგება		2,054,758	50,139
არამაკონტროლებელი წილი		13,013,672	10,506,579
სულ კაპიტალი		19,964,088	15,452,376
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	19	22,316,289	15,789,671
საიჯარო ვალდებულებები	20	1,662,744	2,358,462
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		23,979,033	18,148,133
მიმდინარე ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	19	6,669,885	9,919,703
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	13,036,055	8,774,912
საიჯარო ვალდებულებები	20	633,638	601,657
სულ მიმდინარე ვალდებულებები		20,339,578	19,296,272
სულ ვალდებულებები		44,318,611	37,444,405
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		64,282,699	52,896,781

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი რეკლასაციების შედეგს.

*მოიცავს პერიოდს ჯგუფის დაარსებიდან - 2022 წლის 12 აპრილიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 დეკემბერს:

დირექტორი

11-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილი	სულ
აპრილი 12, 2022	-	-	-	-
კაპიტალის ზრდა	4,895,658	-		4,895,658
შვილობილების შემენა	-		3,587,527	3,587,527
გასვლა /წილის გაყიდვა	-	(6,447,171)	4,597,422	(1,849,749)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	8,241,264	4,077,876	12,319,140
დივიდენდის გაცემა		(1,743,954)	(1,756,246)	(3,500,200)
დეკემბერი 31, 2022*	4,895,658	50,139	10,506,579	15,452,376
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,401,166	4,401,166	8,802,332
დივიდენდის გაცემა	-	(2,396,547)	(1,894,073)	(4,290,620)
დეკემბერი 31, 2023	4,895,658	2,054,758	13,013,672	19,964,088

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი რეკლასიფიკაციის შედეგს.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 დეკემბერს:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

11-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტები“

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილი	სულ
აპრილი 12, 2022	-	-	-	-
კაპიტალის ზრდა	4,895,658	-	-	4,895,658
შვილობილების შეძენა	-	-	3,587,527	3,587,527
გასვლა /წილის გაყიდვა	-	(6,447,171)	4,597,422	(1,849,749)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	8,241,264	4,077,876	12,319,140
დივიდენდის გაცემა	-	(1,743,954)	(1,756,246)	(3,500,200)
დეკემბერი 31, 2022*	4,895,658	50,139	10,506,579	15,452,376
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4,401,166	4,401,166	8,802,332
დივიდენდის გაცემა	-	(2,396,547)	(1,894,073)	(4,290,620)
დეკემბერი 31, 2023	4,895,658	2,054,758	13,013,672	19,964,088

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი რეკლასიფიკაციის შედეგს.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 დეკემბერს:


დირექტორი


ფინანსური დირექტორი

11-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022*
მოგება დაბეგვრამდე		8,882,432	11,440,511
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან		-	909,250
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		3,289,442	2,531,348
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან		-	(909,250)
განსხვავება სესხის სამართლიან ღირებულებასა და	19	-	(389,008)
საბალანსო ღირებულებას შორის			
საპროცენტო ხარჯი	19	2,803,066	1,596,375
ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობა		-	(3,573,836)
საპროცენტო შემოსავალი	13	(227,722)	(153,161)
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	8	847,200	51,106
საკურსო სხვაობით წარმოშობილი წმინდა (მოგება)/ზარალი		413,065	(2,675,690)
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		-	
ზრდა მარაგებში		(584,273)	(480,313)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(3,022,803)	2,644,528
(შემცირება)/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		3,033,176	(2,663,350)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		15,433,583	8,328,510
პროცენტებამდე მოგების გადასახადის დაბეგვრამდე			
სესხებზე გადახდილი პროცენტები	19	(2,213,301)	(1,298,610)
გადახდილი მოგების გადასახადი		(80,100)	(30,621)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		13,140,182	6,999,279
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(12,377,683)	(1,215,170)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		1,400,959	67,914
შვილობილი საწარმოს წილის რეალიზაცია		-	3,229,050
შვილობილი საწარმოს წილის შეძენა		-	(2,700,000)
გაცემული დივიდენდი		(4,290,620)	(3,500,200)
სესხის გაცემა	13	(1,772,360)	(441,825)
გაცემული სესხის დაბრუნება	13	834,823	1,405,758
ინვესტიციების ზრდა მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	12	125,000	-
მიღებული პროცენტები	13	206,486	112,721
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(15,873,395)	(3,041,752)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოდინება მიღებული სესხებიდან	19	16,183,495	9,490,830
მიღებული სესხების დაფარვა	19	(11,948,627)	(11,300,730)
ლიზინგის ვალდებულების გადახდა	20	(905,611)	(930,388)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება ფინანსური საქმიანობიდან		3,329,257	(2,740,288)
ცვლილება ფულად სახსრებში		596,044	1,217,239
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფული და ფულის ეკვივალენტებში		(84,783)	(46,235)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,171,004	-
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს		1,682,265	1,171,004

*მოიცავს პერიოდს ჯგუფის დაარსებიდან - 2022 წლის 12 აპრილიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი რეკლასიფიკაციის შედეგს.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 დეკემბერს:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

11-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტები“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022*
მოგება დაბეგვრამდე		8,882,432	11,440,511
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან		-	909,250
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		3,289,442	2,531,348
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან		-	(909,250)
განსხვავება სესხის სამართლიან ღირებულებასა და	19	-	(389,008)
საბალანსო ღირებულებას შორის			
საპროცენტო ხარჯი	19	2,803,066	1,596,375
ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობა		-	(3,573,836)
საპროცენტო შემოსავალი	13	(227,722)	(153,161)
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	8	847,200	51,106
საკუროს სხვაობით წარმოშობილი წმინდა (მოგება)/ზარალი		413,065	(2,675,690)
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
ზრდა მარაგებში		(584,273)	(480,313)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(3,022,803)	2,644,528
(შემცირება)/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		3,033,176	(2,663,350)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		15,433,583	8,328,510
პროცენტებამდე მოგების გადასახადის დაბეგვრამდე			
სესხებზე გადახდილი პროცენტები	19	(2,213,301)	(1,298,610)
გადახდილი მოგების გადასახადი		(80,100)	(30,621)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		13,140,182	6,999,279
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(12,377,683)	(1,215,170)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		1,400,959	67,914
შვილობილი საწარმოს წილის რეალიზაცია		-	3,229,050
შვილობილი საწარმოს წილის შეძენა		-	(2,700,000)
გაცემული დივიდენდი		(4,290,620)	(3,500,200)
სესხის გაცემა	13	(1,772,360)	(441,825)
გაცემული სესხის დაბრუნება	13	834,823	1,405,758
ინვესტიციების ზრდა მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	12	125,000	-
მიღებული პროცენტები	13	206,486	112,721
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(15,873,395)	(3,041,752)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოდინება მიღებული სესხებიდან	19	16,183,495	9,490,830
მიღებული სესხების დაფარვა	19	(11,948,627)	(11,300,730)
ლიზინგის ვალდებულების გადახდა	20	(905,611)	(930,388)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება ფინანსური საქმიანობიდან		3,329,257	(2,740,288)
ცვლილება ფულად სახსრებში		596,044	1,217,239
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფული და ფულის ეკვივალენტებში		(84,783)	(46,235)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,171,004	-
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს		1,682,265	1,171,004

*მოიცავს პერიოდს ჯგუფის დაარსებიდან - 2022 წლის 12 აპრილიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.
ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5
შენიშვნაში აღწერილი რეკლასიფიკაციის შედეგს.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 დეკემბერს:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

11-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“ (შემდგომში „ჯგუფი“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2022 წლის 12 აპრილს (საიდენტიფიკაციო კოდი: 402211441). კომპანიის შექმნის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საინვესტიციო საქმიანობა - ინვესტირება პოლიგრაფიულ სფეროში მოღვაწე ორი უმსხვილეს კომპანიაში, მათი დაკავშირება და შვილობილი კომპანიებისგან დივიდენდების მიღება და გადატანა დამფუძნებლებზე. 2022 წელს კომპანიის მფლობელობის ქვეშ გადმოვიდა და მის შვილობილ კომპანიებს წარმოადგენს შპს ფავორიტი სტილი 50%-იანი წილით და შპს გამომცემლობა კოლორი ასევე 50%-იანი წილით. შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“-ის 85%-ს ფლობს შპს „პრინტ ჰაუსი“, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ ივანე თევდორაშვილი. 5-5%-ს ფლობენ შესაბამისად რუსლან ჯახაია, დავით ბეგიაშვილი და ნატალია თევდორაშვილი. კომპანიის იურიდიული მისამართია ჩუბინაშვილის №50, ძველი თბილისის რაიონი, თბილისი, საქართველო.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორი იყო ივანე თევდორაშვილი.

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“ ფლობს ორგანიზაციებს შემდეგი წილობრივი მონაწილეობით:

კომპანია	ურთიერთობის სახე	2023	2022	საქმიანობის სახე
შპს „გამომცემლობა კოლორი“	შვილობილი	50%	50%	პოლიგრაფიული მომსახურება
შპს „ფავორიტი სტილი“	შვილობილი	50%	50%	პოლიგრაფიული მომსახურება

შპს „გამომცემლობა კოლორი“ ფლობს ორგანიზაციებს ცხრილში მოცემული წილობრივი მონაწილეობით:

კომპანია	ურთიერთობის სახე	2023	2022	საქმიანობის სახე
შპს ეკო პეიპერი(404949491)	მეკავშირე საწარმო	75%	75%	საქმიანობა შეჩერებულია
შპს კოლორპაკი (206176109)	შვილობილი	100%	100%	ბეჭდვითი საქმიანობა, ეტიკეტებისა და შეფუთვების მიმართულებით
შპს კოლორ პრესი(406191892)	შვილობილი	100%	100%	
შპს მგვ პრინტი(404559517)	შვილობილი	100%	100%	
შპს პოლიგრაფიული ჰაბი (208140439)	შვილობილი	0%	100%	ბეჭდვითი საქმიანობა, მუშაობს პროექტულად კომერციული ფართის იჯარა

ხოლო, შპს „ფავორიტი სტილი“ შემდგომი წილობრივი მონაწილეობით:

კომპანია	ურთიერთობის სახე	2023	2022	საქმიანობის სახე
შპს ნიუ ბოქსი (406183197)	შვილობილი	100%	100%	საქმიანობა შეჩერებულია
შპს ტეტრისი შინ (204465131)	მეკავშირე	50%	50%	მშენებლობა, დეველოპმენტი
შპს ინ ბოქსი(406273857)	შვილობილი	51%	51%	საქმიანობა შეჩერებულია
შპს ფავორიტი დისტრიბუცია(402017526)	შვილობილი	100%	100%	შეკვეთების გამტარი
შპს ფავორიტი ტექსტილი(402165330)	შვილობილი	80%	80%	სარეკლამო ბეჭდვითი საქმიანობა ტექსტილის მიმართულებით
შპს იბერია 2005	შვილობილი	100%	100%	ბეჭდვითი საქმიანობა, სასკოლო რვეულები
შპს პოლიგრაფიული ჰაბი (208140439)	შვილობილი	100%	0%	კომერციული ფართის იჯარა

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

ჯგუფის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების“ მოთხოვნების შესაბამისად. ჯგუფის ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2022 წლის 12 აპრილი.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ჯგუფმა არასრული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა მსს ფასს-ის შესაბამისად. ფასს-ზე გადასვლის ეფექტი მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რაც მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში. ის ასევე მოითხოვს ჯგუფის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მიიღოს და დანერგოს შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კონსოლიდაციის საფუძველი

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და შვილობილი კომპანიების შედეგებს, ფულად ნაკადებს, აქტივებსა და ვალდებულებებს. შვილობილი კომპანია არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც დედა კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც დედა კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვითება მთლიანად.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ჯგუფის მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

ხელმძღვანელობამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და ჯგუფის მაჩვენებლების გათვალისწინებით დარწმუნებულია ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მინიმუმ 12 თვის განმავლობაში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ აღწერილი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

წარდგენისა და ფუნქციონალური ვალუტა / უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის წარდგენისა და ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 USD/GEL	2.6894	2.7020
1 EUR/GEL	2.9753	2.8844

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2023	2022
1 USD/GEL	2.6279	2.9156
1 EUR/GEL	2.8416	3.0792

ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციებისა და შესწორებების მიღება:

ბასს 12 „მოგების გადასახადები“ - შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისი).

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

- ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).

- ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);

- შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

- ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, ჯგუფი სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, **ფასს 15-ის** შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს ჯგუფი ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად.

ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც ჯგუფი ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია ჯგუფისთვის. ჯგუფი აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქტზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების კომპანიის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც ჯგუფი ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გიროში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა) სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად ჯგუფი არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფს შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

	< 30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360	>360 დღე
რეზერვი %	2%	2%	5%	25%	50%	100%

დეტალები სავაჭრო მოთხოვნების და გაუფასურების რეზერვის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებს და სესხებს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში. ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. გადახდილი ავანსები კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული გადახდილი ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული გადახდილი ავანსები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც ჯგუფი მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული გადახდილი ავანსების ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებას. შვილობილი საწარმოების ძირითადი საშუალების თვითღირებულება წარმოდგენილია 2020 წლის 1 იანვრის თარიღით შეფასებული ღირებულებით.

მცირე შეკეთება განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც ინახება საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გაზრდის მიზნით, ან ორივესთვის, მაგრამ არა გასაყიდად ჩვეულებრივი ბიზნესის დროს, საქონლის ან მომსახურების წარმოებაში ან მიწოდებაში გამოყენებაში ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის. საინვესტიციო ქონება მოიცავს მშენებარე ქონებას, რომელიც დასრულების შემდეგ გახდება საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით. ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება საინვესტიციო ქონების შეძენას. საკუთარი საინვესტიციო ქონების ღირებულება მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ღირებულებას, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება საინვესტიციო ქონების სამუშაო მდგომარეობაში დანიშნულ გამოყენებას და კაპიტალიზებულ სესხის ხარჯებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, ყოველგვარი გაუფასურების გამოკლებით. მიწა და მიმდინარე მშენებლობა არ ამორტიზდება.

საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, ხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული საბალანსო

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

ღირებულება ხდება მისი დასაშვები ღირებულება სააღრიცხვო მიზნებისთვის. შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, თუ მომავალში მოსალოდნელია დანახარჯებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოღება და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, მათი გაწევის მომენტში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში, რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის მიხედვით.

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)	
შენობა-ნაგებობა	50
მანქანა-დანადგარები	1-20
ოფისის აღჭურვილობა	1-10
სატრანსპორტო საშუალებები	3-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1-10
იჯარით აღებული ქონების	1-20
კეთილმოწყობა	

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც ჯგუფი მიიღება ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

შემოსავლის აღიარება

ჯგუფი შემოსავლებს აღრიცხავს ფასს 15-ის შესაბამისად, რომელიც მოიცავს, მცირე გამონაკლისებით, კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულ ყველა ტიპის შემოსავალს. ფასს 15-ს აქვს 5 ეტაპიანი მოდელი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღსაღრიცხად და მოითხოვს, რომ შემოსავალი აღიარდეს იმ თანხით, რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს.

ფასს 15 მოითხოვს სუბიექტებისგან, რომ კლიენტებთან ხელშეკრულებების აღნიშნული მოდელის თითოეულ ეტაპზე გამოიყენონ საკუთარი განსჯა, ყველა დაკავშირებული ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხელშეკრულების მოპოვების ზღვრული ხარჯების და ხელშეკრულების შესრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვის წესს. ამასთან, სტანდარტი დამატებით მოითხოვს ვრცელ განმარტებით შენიშვნებს.

მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოდგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოგების გადასახადი (გაგრძელება)

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და ამავე დროს იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ჯგუფის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ჯგუფის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას. ერთობლივი საქმიანობა არის საქმიანობა, რომელსაც ერთობლივად აკონტროლებს ორი ან მეტი მხარე. მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში დაბანდებულ ინვესტიციებს ჯგუფი აღრიცხვას კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინვესტიცია კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული, რომელიც აღირიცხება ფასს 5-ის „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“-ს შესაბამისად; კაპიტალ-მეთოდი ისეთი სააღრიცხვო მეთოდი, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე და ერთობლივი საწარმოს წმინდა აქტივებში არსებული ჯგუფის წილის შეძენის შემდგომი ცვლილების შესაბამისად. ჯგუფის მოგება ან ზარალი მოიცავს მის წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. თუ ჯგუფის წილი მეკავშირე და ერთობლივი საწარმოს ზარალში ტოლია ან აღემატება მის წილს მეკავშირე და ერთობლივ საწარმოში, ჯგუფი წყვეტს შემდგომი პერიოდის ზარალში მისი წილის აღიარებას. მას შემდეგ, რაც ჯგუფის წილი ნულამდე ეცემა, წარმოიქმნება დამატებითი ზარალი და ხდება ვალდებულებების აღიარება მხოლოდ ჯგუფის მიერ მეკავშირე საწარმოს სახელით აღებული იურიდიული და კონსტრუქციული ვალდებულებების ან შესრულებული გადახდების მოცულობით.

მეკავშირე და ერთობლივ საწარმოში დაბანდებული ინვესტიციების აღრიცხვას კაპიტალ-მეთოდით ჯგუფი იმ მომენტიდან იწყებს, როდესაც ინვესტირებული საწარმო შეიძლება ჩათვალოს მეკავშირე და ერთობლივ საწარმოდ. მეკავშირე და ერთობლივ საწარმოში ინვესტიციის შეძენის დროს წარმოშობილი სხვაობა (დადებითი თუ უარყოფითი), ინვესტიციის თვითღირებულებასა და მეკავშირე/ერთობლივ საწარმოს იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში ინვესტორის წილს შორის, აღირიცხება შემდეგნაირად: • გუდვილი, რომელიც დაკავშირებულია მეკავშირე საწარმოსთან, შეიტანება ამ ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში. თუმცა, ამ გუდვილის ამორტიზაცია არ ხდება; • მეკავშირე საწარმოს იდენტიფიცირებადი აქტივების და ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში ინვესტორის წილის ნებისმიერი მეტობა ინვესტიციის თვითღირებულებაზე შეიტანება მეკავშირე საწარმოს მოგებაში ან ზარალში ჯგუფის წილის გაანგარიშებაში შემოსავლის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ინვესტიცია იქნა შეძენილი. თუ მეკავშირე საწარმო და ჯგუფი მსგავს ოპერაციებსა და შემთხვევებში იყენებენ განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, ხოლო ჯგუფი კაპიტალ-მეთოდს იყენებს მეკავშირე საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დაყრდნობით, ხდება მათი სააღრიცხვო პოლიტიკათა დაახლოება და შესაბამისი კორექტირებების ჩატარება. ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის მოთხოვნებს იმის განსასაზღვრად, რამდენად აუცილებელია გაუფასურების ზარალის აღიარება ჯგუფის წმინდა ინვესტიციის შესაბამისად მეკავშირე საწარმოში. რადგან მეკავშირე საწარმოში ფლობილი ჯგუფის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში შესული გუდვილის აღიარება ცალკე არ ხდება, ჯგუფი არ იყენებს გუდვილის გაუფასურებაზე ცალკე ბასს 36-ის – „აქტივების გაუფასურება“-ს მოთხოვნებს. ამის ნაცვლად, ბასს 36-ის შესაბამისად გაუფასურებაზე მოწმდება ინვესტიციის, როგორც ერთი აქტივის, მთლიანი საბალანსო ღირებულება, მისი ანაზღაურებადი ღირებულების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, ყოველთვის, როდესაც ფასს 9-ის მოთხოვნების გამოყენება აჩვენებს, რომ ინვესტიცია შეიძლება გაუფასურებული იყოს. ჯგუფი წყვეტს კაპიტალ-მეთოდის გამოყენებას იმ დღიდან, როდესაც იგი წყვეტს მნიშვნელოვან გავლენას მეკავშირე საწარმოზე და იმ დღიდან ინვესტიციას აღრიცხავს ფასს 9-ის შესაბამისად, თუ მეკავშირე საწარმო არ ხდება შვილობილი საწარმო ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმო. როდესაც ჯგუფი მნიშვნელოვან გავლენას კარგავს, იგი რეალური ღირებულებით აფასებს ინვესტიციას, რომელიც რჩება მას ყოფილ მეკავშირე საწარმოში. ჯგუფი მოგებაში ან ზარალში აღიარებს ნებისმიერ განსხვავებას ნებისმიერი დარჩენილი ინვესტიციისა და მეკავშირე საწარმოში წილის ნაწილობრივი დათმობიდან მიღებული შემოსულობის რეალურ ღირებულებასა და მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის თარიღისთვის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას შორის. როდესაც ჯგუფი კარგავს მნიშვნელოვან გავლენას მეკავშირე საწარმოზე, ჯგუფი მათთან დაკავშირებით სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული ყველა თანხას ისეთივე წესით ასახავს, როგორც მოთხოვნილია იმ შემთხვევაში, თუ მეკავშირე საწარმოები უშუალოდ გაყიდვით ყველა შესაბამის აქტივს ან ვალდებულებას. ამგვარად, თუ მეკავშირე საწარმოს მიერ სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა ან ზარალი რეკლასიფიცირებული იყო მოგებაში ან ზარალში შესაბამისი აქტივების ან ვალდებულებების გასვლასთან დაკავშირებით, ჯგუფს ეს შემოსულობა ან ზარალი საკუთარი კაპიტალიდან გადააქვს მოგებაში ან ზარალში (როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირების თანხა), როდესაც კარგავს მნიშვნელოვან გავლენას მეკავშირე საწარმოზე. თუ ჯგუფის საკუთრების წილი მეკავშირე საწარმოში მცირდება, მაგრამ ეს ინვესტიცია ისევ მეკავშირე საწარმოს სტატუსს ინარჩუნებს, ჯგუფს მოგებაში ან ზარალში გადააქვს მხოლოდ წინა პერიოდში სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობის ან ზარალის პროპორციული წილი. ჯგუფი აგრძელებს კაპიტალ-მეთოდის გამოყენებას მას შემდეგაც რაც ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში ხდება ინვესტიცია ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში. ამ შემთხვევაში აღარ ხდება ინვესტიციის რეალური ღირებულებით ხელახალი შეფასება.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია საწყისი ღირებულებით და კლასიფიცირებულია როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდის აღიარება ხდება ვალდებულებებში იმ წელს როდესაც ხდება გამოცხადება.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღიარდება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება

ჯგუფი რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ის მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს, გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელ დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს, რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით. იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტისა და რისკის სეგმენტის მიხედვით. ჯგუფი აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს წარსულ გამოცდილებას და საკუთარ მსჯელობას.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ჯგუფი აკეთებს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე.

მიუხედავად იმისა რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

5. წინა პერიოდის შესწორება და მს ფასს-დან ფასს-ზე გადასვლის ეფექტი

ჯგუფის ხელმძღვანელობამ 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის მიზნებისთვის განახორციელა გარკვეული ცვლილებები. ასევე, როგორც მე-2 შენიშვნაშია მოცემული წინა პერიოდისთვის, 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ჩათვლით, ჯგუფი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებდა მს ფასს-ის შესაბამისად. ფასს-ზე გადასვლის შედეგად და წინა პერიოდის კორექტირებით გამოწვეული ცვლილებები წარმოდგენილია ქვემოთ:

ეფექტი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

2022 წლის 31 დეკემბერი	წინა ანგარიშგების მიხედვით	შესწორება	კორექტირებული თანხა
ძირითადი საშუალებები	19,969,909	(233,043)	19,736,866
საინვესტიციო ქონება	-	239,571	239,571
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	2,258,136	4,025	2,262,161
გუდვილი	-	5,871,244	5,871,244
გაცემული სესხები (გრძელვადიანი)	-	422,887	422,887
აქტივი გამოყენების უფლებით	-	3,089,913	3,089,913
მარაგები	8,468,736	(47,963)	8,420,773
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,526,838	997,815	10,524,653
გაცემული სესხები	1,280,795	(1,280,795)	-
გაცემული ავანსები	1,250,122	(1,250,122)	-
გაცემული სესხები (მოკლევადიანი)	-	995,413	995,413
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,171,123	(119)	1,171,004
სხვა აქტივები	2,840,802	(2,840,802)	-
გრძელვადიანი სესხები	-	(15,789,671)	(15,789,671)
საიჯარო ვალდებულებები (გრძელვადიანი)	-	(2,358,462)	(2,358,462)
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	-	(9,919,703)	(9,919,703)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(5,916,005)	(2,858,907)	(8,774,912)
საიჯარო ვალდებულებები (მოკლევადიანი)	-	(601,657)	(601,657)
სახელფასო და სხვა დავალიანება	(262,540)	262,540	-
თანამშრომელთა მიმართ	(1,449,455)	1,449,455	-
მიღებული ავანსები	(508,289)	508,289	-
სხვა საგადასახადო ვალდებულებები,	(508,289)	508,289	-
წმინდა	(25,601,926)	25,601,926	-
აღებული სესხები	(596,497)	596,497	-
სხვა ვალდებულება	(3,463,312)	3,413,173	(50,139)
გაუნაწილებელი მოგება	(4,235,075)	(6,271,504)	(10,506,579)
არამაკონტროლებელი წილი			

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. წინა პერიოდის შესწორება და მის ფასს-დან ფასს-ზე გადასვლის ეფექტი (გაგრძელება)

ეფექტი კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე:

2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	შესწორება	კორექტირებული თანხა
ამონაგები	72,425,994	(18,067,107)	54,358,887
თვითღირებულება	(49,450,963)	9,863,354	(39,587,609)
თანამშრომელთა ხელფასები	(6,679,659)	247,237	(6,432,422)
ტრანსპორტირების ხარჯი	(166,035)	166,035	-
იჯარის ხარჯი	(1,093,135)	1,093,135	-
კომერციული ხარჯი	(564,672)	564,672	-
საწვავის ხარჯი	(188,303)	188,303	-
კომუნიკაციის ხარჯი	(62,296)	62,296	-
ელექტროენერგიის ხარჯი	(633,532)	633,532	-
საოფისე და სამეურნეო ხარჯი	(119,888)	119,888	-
რემონტის ხარჯი	(266,602)	266,602	-
მივლინების ხარჯი	(86,054)	86,054	-
ბანკის საკომისიო ხარჯი	(42,239)	42,239	-
საკონსულტაციო ხარჯი	(372,000)	372,000	-
დაზღვევის ხარჯი	(31,401)	31,401	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,414,965)	1,909,689	(505,276)
დაცვის ხარჯი	(16,271)	16,271	-
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	(28,775)	28,775	-
საექვო მოთხოვნების რეზერვის			
ხარჯი/ამობრუნება	71,646	(71,646)	-
ქონების გადასახადის ხარჯი	(203,424)	203,424	-
საპენსიოს ხარჯი	(245,836)	245,836	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(423,132)	423,132	-
ფინანსური შემოსავალი	80,151	73,010	153,161
მოგება საკურსო სხვაობიდან	3,802,479	(3,802,479)	-
სხვა არა-საოპერაციო შემოსავლები	1,527,551	(1,527,551)	-
ფინანსური ხარჯი	(2,334,808)	738,433	(1,596,375)
ზარალი ინვესტიციებიდან	(60,626)	60,626	-
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(147,785)	147,785	-
სხვა არა-საოპერაციო ხარჯები	(297,636)	297,636	-
წმინდა მოგება / (ზარალი) საკურსო			
სხვაობიდან	-	2,675,690	2,675,690
არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	-	1,239,937	1,239,937
კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯები	-	(1,346,131)	(1,346,131)
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(1,093,187)	(1,093,187)
ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული			
შემოსულობა	-	3,573,836	3,573,836
მოგების გადასახადი	-	(30,621)	(30,621)
მოგება შეწყვეტილი ოპერაციიდან	-	909,250	909,250

ეფექტი ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე:

2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	შესწორება	კორექტირებული თანხა
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,039,039	5,960,240	6,999,279
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(24,805,307)	21,763,555	(3,041,752)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	24,937,390	(27,677,678)	(2,740,288)

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. ამონაგები

ამონაგები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
შემოსავალი პოლიგრაფიული პროდუქციის გაყიდვიდან	80,709,043	46,420,097
საკანცელარიო ნივთების რეალიზაცია	6,339,041	5,455,704
საიჯარო შემოსავალი	1,268,833	270,818
შემოსავალი პოლიგრაფიული მომსახურებიდან	334,054	1,600,672
სხვა შემოსავალი	395,745	611,596
სულ ამონაგები	89,046,716	54,358,887

7. თვითღირებულება

თვითღირებულების ხარჯი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
გაყიდული პოლიგრაფიული პროდუქციის თვითღირებულება	57,648,993	32,734,983
საკანცელარიო ნივთების თვითღირებულება	4,552,732	4,747,334
პოლიგრაფიული მომსახურების თვითღირებულება	191,402	1,254,462
სხვა	846,513	850,830
სულ თვითღირებულება	63,239,640	39,587,609

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
დებეტორული დავალიანების ანარიცხის ხარჯი	847,200	51,106
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	681,424	169,208
მომსახურების ხარჯი	350,110	103,196
იჯარის ხარჯი	576,224	239,525
ოფისის ხარჯი	302,712	49,029
რეკლამის ხარჯი	251,142	76,716
მივლინების ხარჯი	185,724	26,637
საწვავის ხარჯი	172,266	67,292
წარმომადგენლობითი ხარჯი	134,971	8,812
ტრანსპორტირების ხარჯი	128,966	64,797
საპენსიო შენატანის ხარჯი	119,107	19,482
შეკეთებისა და მოვლის ხარჯი	60,678	48,553
ტენდერის ხარჯები	44,552	69,824
საბანკო ხარჯები	22,066	8,854
უსაფრთხოების ხარჯები	16,818	11,015
კონსულტაციის ხარჯი	15,720	3,491
დაზღვევის ხარჯები	9,564	8,842
თანამშრომელთა გადამზადების ხარჯები	1,664	475
სხვა ხარჯები	301,790	66,333
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	4,222,698	1,093,187

2023 წელს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარჯმა შეადგინა 5,000 ლარი (2022: 28,775 ლარი)

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტს“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

9. ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობა

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტს“ 2022 წელს შეიძინა ორივე შვილობილი საწარმო:

- შპს „ფავორიტი სტილი“ – 2022 წლის 18 აპრილს.
- შპს „გამომცემლობა კოლორი“ – 2022 წლის 10 ივნისს;

შემოსულობის დაანგარიშება მოცემულია ცხრილში:

ჯამური ანაზღაურება	(7,595,658)
არამაკონტროლებელი წილის სამართლიანი ღირებულება	(3,543,455)
წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება	14,712,949
ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობა	3,573,836

მენეჯმენტის შეფასებით, შესყიდვის თარიღების მდგომარეობით წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება უტოლდება მათ საბალანსო ღირებულებას.

10. მოგება შეწყვეტილი ოპერაციიდან

ჯგუფმა 2022 წლის ივნისში გაყიდა ინვესტიციები შვილობილ კომპანია შპს „ტეტრისი შინ“-ში (50%), რომელსაც ფლობდა შპს ფავორიტი სტილი. მიღებული საზღაური შეადგენდა 3,229,050 ლარს. გასული წმინდა აქტივები შეადგენდა 4,524,321 ლარს.

მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022
მიღებული საზღაური	3,229,050
გადაცემული წმინდა აქტივები	(4,524,321)
კონტროლის დაკარგვის შედეგად აღიარებული წილი მეკავშირე საწარმოში	2,204,521
სულ შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება	909,250

ფულადი ნაკადები შეწყვეტილი ოპერაციებიდან წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები შეწყვეტილი ოპერაციებიდან	4,202,835
საინვესტიციო საქმიანობაში მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები შეწყვეტილი ოპერაციებიდან	30,757
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები შეწყვეტილი ოპერაციებიდან	537,979

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

10. მოგება შეწყვეტილი ოპერაციიდან (გაგრძელება)

წმინდა აქტივები შვილობილი კომპანიის გასვლის თარიღში წარმოდგენილია შემდეგი სახით

	23 ივნისი 2022
აქტივები	
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები	4,063,526
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,063,526
მიმდინარე აქტივები	
მარაგები	456,347
გადახდილი ავანსები	3,902
ფული და ფულის ეკვივალენტები	546
სულ მიმდინარე აქტივები	460,795
სულ აქტივები	4,524,321
კაპიტალი და ვალდებულებები	
კაპიტალი	
საწესდებო კაპიტალი	252,000
გაუნაწილებელი მოგება	4,272,321
სულ კაპიტალი	4,524,321
სულ ვალდებულებები	-
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	4,524,321

შეწყვეტილი ოპერაციებიდან შვილობილი კომპანიის პერიოდის (2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 23 ივნისის ჩათვლით) შედეგის მშობელ საწარმოზე მისაკუთვნებელი წილი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2022 წლის 18 აპრილიდან- 2022 წლის 23 ივნისის ჩათვლით
ადმინისტრაციული ხარჯები	(19,488)
საოპერაციო ზარალი	(19,488)
არასაოპერაციო ხარჯი	(274,700)
ფინანსური ხარჯი	(19,570)
ზარალი დაზღვრამდე	(313,758)
მოგების გადასახადი	-
წლის წმინდა ზარალი	(313,758)

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	მიწა	შენობა ნაგებობი	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა საწარმოო მოწყობილობები	სულ
ისტორიული ღირებულება										
12 აპრილი, 2022	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
შემოსვლა შვილობილი კომპანიის შემენის შედეგად	4,297,521	4,971,940	25,465,795	678,110	296,942	327,131	475,254	143,494	14,901	36,671,088
შვილობილი კომპანიის აქტივების გასვლა	(4,297,521)	-	-	-	-	-	-	-	-	(4,297,521)
შემოსვლა	-	890,443	417,426	109,353	31,908	72,754	133,580	44,723	2,669	1,702,856
გასვლა	-	-	(14,831)	-	-	(139,088)	(11,639)	-	-	(165,558)
31 დეკემბერი, 2022	-	5,862,383	25,868,390	787,463	328,850	260,797	597,195	188,217	17,570	33,910,865
შემოსვლა	-	3,775,831	7,925,140	122,319	480	31,423	127,069	226,137	146,902	12,355,301
გასვლა	-	(669,420)	(454,478)	(9,640)	(3,559)	-	-	(308,256)	(81,737)	(1,527,090)
31 დეკემბერი, 2023	-	8,968,794	33,339,052	900,142	325,771	292,220	724,264	106,098	82,735	44,739,076
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება										
12 აპრილი, 2022	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა შემენის შედეგად	-	(526,289)	(11,238,300)	(394,838)	(198,775)	(179,215)	(129,855)	-	(11,104)	(12,678,376)
წლის ცვეთა	-	(159,986)	(1,215,541)	(89,285)	(38,651)	(30,271)	(58,646)	-	(887)	(1,593,267)
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	7,119	-	-	84,706	5,819	-	-	97,644
31 დეკემბერი, 2022	-	(686,275)	(12,446,722)	(484,123)	(237,426)	(124,780)	(182,682)	-	(11,991)	(14,173,999)
წლის ცვეთა	-	(242,920)	(2,060,180)	(113,318)	(34,223)	(28,499)	(96,388)	-	(23,844)	(2,599,372)
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	88,634	6,979	3,559	-	64	-	26,895	126,131
31 დეკემბერი, 2023	-	(929,195)	(14,418,268)	(590,462)	(268,090)	(153,279)	(279,006)	-	(8,940)	(16,647,240)
წმინდა საბალანსო ღირებულება										
31 დეკემბერი, 2022	-	5,176,108	13,421,668	303,340	91,424	136,017	414,513	188,217	5,579	19,736,866
31 დეკემბერი, 2023	-	8,039,599	18,920,784	309,680	57,681	138,941	445,258	106,098	73,795	28,091,836

11. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

სრულად გაცემილი ძირითადი საშუალებების ღირებულება, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,316,287 ლარს და 1,107,695 ლარს, შესაბამისად. 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ცვლის ხარჯი გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაში ასახულია 2,060,180 ლარის ოდენობით (2022: 1,215,541 ლარი).

ჯგუფის ბალანსზე არსებული მანქანა-დანადგარების ნაწილი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დატვირთულია იპოთეკით/გირათი ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის მიზნით 12,020,280 ლარის ძირითადი საშუალება (2022: 10,384,752 ლარი).

12. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

ჯგუფის ინვესტიცია მეკავშირე საწარმოებში 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

			31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022	
ქვეყანა	წილის ფლობა	ინვესტიციის საბალანსო ღირებულება		წილის ფლობა	ინვესტიციის საბალანსო ღირებულება
შპს "ტეტრისი შინ"	საქართველო	50%	2,114,378	50%	2,262,161
სულ ინვესტიცია ასოცირებულ კომპანიაში			2,114,378		2,262,161

ინვესტიციების მოძრაობა არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნაშთი წლის დასაწყისში	2,262,161	-
დამატებითი შენატანები (ფულადი)	-	2,319,800
კაპიტალის გამოტანა (ფულის გამოტანა)	(125,000)	-
სამართლიანი ღირებულების ეფექტი	-	(57,639)
მეკავშირე საწარმოს მოგების წილი	(22,783)	-
ნაშთი წლის ბოლოს	2,114,378	2,262,161

13. გაცემული სესხები

გაცემული სესხების რეკონსილაცია 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები	280,652	99,706	614,636	308,071
სხვა მხარეებზე გაცემული სესხები	1,036,602	895,707	230,740	114,816
	1,317,254	995,413	845,376	422,887

13. გაცემული სესხები (გაგრძელება)

	2023	2022
სესხების მოძრაობა:		
წაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,418,300	-
შვილობილი კომპანიებს შეძენის შედეგად გაცემული სესხების ზრდა	-	2,401,931
სესხის გაცემა	1,772,360	441,825
სესხის გაუფასურება	(3,221)	(13,323)
გადახდილი ძირი	(834,823)	(1,405,758)
საპროცენტო შემოსავალი	227,722	153,161
პროცენტის დაფარვა	(206,486)	(112,721)
საკუროსო სხვაობის ეფექტი	(211,222)	(46,815)
31 დეკემბრის მდგომარეობით	2,162,630	1,418,300

14. აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	საოფისე	დანადგარი	არასაცხოვრებელი	სულ
12 აპრილი, 2022	-	-	-	-
შვილობილი კომპანიების შეძენის შედეგი	501,953	875,617	-	1,377,570
შემოსვლა	108,935	1,774,807	766,682	2,650,424
31 დეკემბერი, 2022	610,888	2,650,424	766,682	4,027,994
შემოსვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2023	610,888	2,650,424	766,682	4,027,994
დაგროვილი ცვეთა				
12 აპრილი, 2022	-	-	-	-
შვილობილი კომპანიების შეძენის შედეგი	(122,394)	-	-	(122,394)
წლის ცვეთა	(127,550)	(381,464)	(306,673)	(815,687)
31 დეკემბერი, 2022	(249,944)	(381,464)	(306,673)	(938,081)
წლის ცვეთა	(122,178)	(530,083)	(37,809)	(690,070)
31 დეკემბერი, 2023	(372,122)	(911,547)	(344,482)	(1,628,151)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი, 2022	360,944	2,268,960	460,009	3,089,913
31 დეკემბერი, 2023	238,766	1,738,877	422,200	2,399,843

ფასს 16-ის გამოყენებასთან დაკავშირებით ჯგუფმა აღიარა აქტივის გამოყენების უფლება. ჯგუფს იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი და მანქანა-დანადგარები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საიჯარო ხელშეკრულების დარჩენილი ვადა 3-5 წელი.

15. მარაგები

მარაგები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
ნედლეული და მასალა	5,165,494	5,020,549
მზა პროდუქცია	2,969,220	2,527,125
დაუმთავრებელი წარმოება	430,374	288,178
სარემონტო მასალა	328,680	497,848
სხვა მარაგები	114,499	87,073
სულ მარაგები	9,008,267	8,420,773

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები იურიდიული პირებისგან	10,498,329	10,554,324
წილის გაყიდვიდან მისაღები მოთხოვნები	2,556,026	55,434
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	1,214,389	741,678
ანარიცხი სავაჭრო მოთხოვნებზე	(2,764,889)	(1,917,689)
სულ ფინანსური სავაჭრო მოთხოვნები	11,503,855	9,433,747
არაფინანსური მოთხოვნები		
ავანსები და წინასწარი გადახდები	784,489	1,075,038
წინასწარ გადახდილი გადასახადები	20,950	15,868
სულ არაფინანსური სავაჭრო მოთხოვნები	805,439	1,090,906
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,309,294	10,524,653

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა გაუფასურების ანარიცხების მოძრაობა მოცემულია ქვემოთ:

საექვო დებიტორული დავალიანების რეზერვი	2023	2022
ნაშთი წლის დასაწყისში	1,917,689	-
შვილობილი კომპანიის შეძენის შედეგად მიღებული რეზერვის ნაშთი	-	1,866,583
რეზერვის ცვლილება წლის განმავლობაში	847,200	51,106
ნაშთი წლის ბოლოს	2,764,888	1,917,689

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია როგორც დაახლოებითი სამართლიანი ღირებულება.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მოთხოვნები სახელმწიფო ბიუჯეტიდან არის სრულად ანაზღაურებადი.

ჯგუფის ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების ინდიკატორების მიმართ განხილულია შესადარის პერიოდთან მიმართებაში.

17. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,235,555	867,242
ფული სალაროში	446,710	303,762
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,682,265	1,171,004

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია როგორც არასარისკო, ვინაიდან სახსრები განთავსებულია მაღალი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

18. საწესდებო კაპიტალი

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 4,895,658 ლარს. 2023 წლის განმავლობაში ჯგუფს საწესდებო კაპიტალში ცვლილება არ მომხდარა.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჯგუფი გასცემს დივიდენდს წლიური მოგებიდან. 2023 წელს ჯგუფმა გასცა დივიდენდი 4,290,620 ლარის ოდენობით (2022: 3,500,200 ლარი).

19. სესხები

სესხების რეკონსილაცია 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
უზრუნველყოფილი ბანკის სესხები	6,173,097	8,210,263	20,449,258	14,528,333
სესხები დაკავშირებული მხარისაგან	496,788	1,709,440	1,867,031	1,261,338
სულ სესხები	6,669,885	9,919,703	22,316,289	15,789,671

	2023	2022
ნაშთი წლის დასაწყისში	25,709,374	-
შვილობილი კომპანიის გაყიდვის შედეგი	-	(520,553)
შვილობილი კომპანიის შეძენის შედეგი	-	33,621,578
სესხის ძირის ურთიერთ-გაქვითვა*	(1,520,122)	-
წლის განმავლობაში მიღებული სესხები	16,183,495	9,490,830
განსხვავება სესხის სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის	-	(389,008)
წლის განმავლობაში დაფარული სესხები	(11,948,627)	(11,300,730)
დარიცხული პროცენტის ურთიერთ-გაქვითვა*	(4,479)	-
გადასახდელი პროცენტების გადახდა	(2,213,301)	(1,298,610)
დარიცხული პროცენტი	2,500,551	1,313,260
გაცვლითი კურსის ეფექტი უცხოურ ვალუტაზე	279,283	(5,207,393)
31 დეკემბრის მდგომარეობით	28,986,174	25,709,374

* ურთიერთგაქვითვა - ჯგუფმა მიღებული სესხის ნაშთების ურთიერთგაქვითვა მოახდინა სავაჭრო მოთხოვნასთან.

ჯგუფს გააჩნია სასესხო ვალდებულებები, როგორც საფინანსო ორგანიზაციებიდან, ასევე დაკავშირებული მხარეებისგან. საბანკო სესხებიდან გრაფიკის მიხედვით მოხდა გრძელვადიანიდან მიმდინარე სესხის ნაწილის გამოყოფა. არასაბანკო სესხებიდან მოკლევადიან სესხებად ვალიარეთ ის სესხები, რომლის დაფარვის ვადა ხელშეკრულებით სრულდებოდა 1 წლის ვადაში, 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრის შესაბამისად.

20. საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
ნაშთი წლის დასაწყისში	2,960,119	1,014,651
ახალი საიჯარო კონტრაქტები	-	2,650,424
საპროცენტო ხარჯი	302,515	283,115
საიჯარო გადასახადი	(905,611)	(930,388)
გადაფასების ეფექტი	(60,641)	(57,683)
ნაშთი წლის ბოლოს	2,296,382	2,960,119
	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	633,638	601,657
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	1,662,744	2,358,462
სულ საიჯარო ვალდებულებები	2,296,382	2,960,119

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
სავაჭრო ვალდებულებები	9,561,745	7,771,608
წილის შესყიდვიდან წარმოქმნილი ვალდებულება	1,777,011	-
მიღებული ავანსები	968,914	126,235
საგადასახადო ვალდებულება	397,880	605,071
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	330,505	271,998
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,036,055	8,774,912

22. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის რისკის ხელმძღვანელობის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს:

- საკრედიტო რისკს;
- საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკებს),
- ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკს.

ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა.

საკრედიტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გაცემული სესხები	2,162,630	1,418,300
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,503,855	9,433,747
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,235,555	867,242
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე	14,902,040	11,719,289

საბაზრო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფს აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად ჯგუფის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ჯგუფის დონეზე მართვით.

22. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულება	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
31 დეკემბერი 2023			
აშშ დოლარი	190,038	(2,490,763)	(2,300,725)
ევრო	78,281	(3,788,773)	(3,710,492)
ჩინური იუანი	-	28,797	28,797
სულ	268,319	(6,250,739)	(5,982,420)
31 დეკემბერი 2022			
აშშ დოლარი	192,379	2,218,463	2,410,842
ევრო	4,750	6,827,257	6,832,007
სულ	197,129	9,045,720	9,242,849

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალისა მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

	2023	2022
აშშ დოლარის 30%-ით გამყარება	(690,218)	723,253
ევროს 30%-ით გამყარება	(1,113,148)	2,049,602
აშშ დოლარის 30%-ით გაუფასურება	690,218	(723,253)
ევროს 30%-ით გაუფასურება	1,113,148	(2,049,602)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე. ჯგუფი არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, როდესაც ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებული განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. ჯგუფს აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს ჯგუფის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემული ცხრილში მოყვანილია ჯგუფის ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

22. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადების ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

31 დეკემბერი 2023	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
გაცემული სესხები	1,317,254	845,376	2,162,630
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,503,855	-	11,503,855
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,682,265	-	1,682,265
სულ ფინანსური აქტივები	14,503,374	845,376	15,348,750
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	6,669,885	22,316,289	28,986,174
საიჯარო ვალდებულებები	633,638	1,662,744	2,296,382
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	11,669,261	-	11,669,261
სულ ფინანსური ვალდებულებები	18,972,784	23,979,033	42,951,817
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(4,469,410)	(23,133,657)	(27,603,067)

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

31 დეკემბერი 2022	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
გაცემული სესხები	995,413	422,887	1,418,300
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,433,747	-	9,433,747
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,171,004	-	1,171,004
სულ ფინანსური აქტივები	11,600,164	422,887	12,023,051
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	9,919,703	15,789,671	25,709,374
საიჯარო ვალდებულებები	601,657	2,358,462	2,960,119
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	8,043,606	-	8,043,606
სულ ფინანსური ვალდებულებები	18,564,966	18,148,133	36,713,099
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(6,964,802)	(17,725,246)	(24,690,048)

23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს :

- (a) მხარეები რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის მშობლები შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) მხარე რომელიც კონტროლდება ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს პირდაპირ ან ირიბად (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

განხორციელდა შემდეგი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	ურთიერთობის ტიპი	31 დეკემბერი, 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო კონტროლის ქვეშ	337,695
	სხვა დაკავშირებული კომპანია	177,230
გადასახდელი პროცენტი	საერთო კონტროლის ქვეშ	(1,538)
გაცემული სესხი	საერთო კონტროლის ქვეშ	453,782
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საერთო კონტროლის ქვეშ	(35,013)
	მშობელი	(2,084,674)
	სხვა დაკავშირებული კომპანია	(17,460)
	დირექტორი	36,405
გაცემული სესხი	საერთო კონტროლის ქვეშ	506
	დირექტორი	907
მიღებული სესხი	დირექტორი	(89,082)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან		2023
შემოსავალი	სხვა დაკავშირებული კომპანია	2,363,588
	მშობელი	399,993
	საერთო კონტროლის ქვეშ	755,002
თვითღირებულება	საერთო კონტროლის ქვეშ	(408,922)
	სხვა დაკავშირებული კომპანია	(139,095)
საოპერაციო ხარჯი	საერთო კონტროლის ქვეშ	(185,284)
	დირექტორი	(599,017)
	სხვა დაკავშირებული კომპანია	(81,618)
ფინანსური შემოსავალი	საერთო კონტროლის ქვეშ	19,288
ფინანსური ხარჯი	სხვა დაკავშირებული კომპანია	(173,398)
ფინანსური ხარჯი	მშობელი	(982,900)
სხვა არსაოპერაციო შემოსავალი	სხვა დაკავშირებული კომპანია	14,942

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტიმენტი“

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	ურთიერთობის ტიპი	31 დეკემბერი, 2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო კონტროლის ქვეშ	836,375
	სხვა დაკავშირებული კომპანია	17,336
გადახდილი ავანსები		221,934
გადასახდელი პროცენტი	საერთო კონტროლის ქვეშ	(5,505)
გაცემული სესხი	საერთო კონტროლის ქვეშ	357,028
სავაჭრო და სხვა	საერთო კონტროლის ქვეშ	(306,355)
ვალდებულებები	მშობელი	(2,677,217)
	სხვა დაკავშირებული კომპანია	(52,865)
	დირექტორი	(6,091)
სულ ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან		(1,615,360)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	ურთიერთობის ტიპი	2022
შემოსავალი	სხვა დაკავშირებული კომპანია	908,561
	მშობელი	105,798
	საერთო კონტროლის ქვეშ	2,677,707
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	სხვა დაკავშირებული კომპანია	-
საოპერაციო ხარჯები	საერთო კონტროლის ქვეშ	8,451
	დირექტორი	(7,398)
	სხვა დაკავშირებული კომპანია	(56)
თვითღირებულება	საერთო კონტროლის ქვეშ	(2,511)
ფინანსური ხარჯი	სხვა დაკავშირებული კომპანია	(1,637,321)
ფინანსური ხარჯი	მშობელი	(103,087)
ფინანსური შემოსავალი	საერთო კონტროლის ქვეშ	-
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან		1,950,144

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	2023	2022
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ხელფასი	797,306	720,046

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 დეკემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ჯგუფმა

- აიღო სესხი 8,940,169 ლარის ოდენობით;
- დაფარა მიღებული სესხი 824,402 ლარის ოდენობით;
- გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 3,338,232 ლარის ოდენობით;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

PRINT HOUSE INVESTMENT

კონსოლიდირებული
მმართველობითი
ანგარიშგება

2023

ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“ (შემდგომში „კომპანია“) შეიქმნა 2022 წლის 12 აპრილს. კომპანიის შექმნის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საინვესტიციო საქმიანობა - შვილობილი კომპანიებისგან დივიდენდების მიღება და გადატანა დამფუძნებლებზე.

2022 წელს დაიწყო პოლიგრაფიული მიმართულების წამყვანი კომპანიების ფავორიტი ჯგუფისა და კოლორ ჯგუფის კომპანიების გაერთიანება ერთობლივი მენეჯმენტის ქვეშ, რის საფუძველზეც შეიქმნა შპს პრინტ ჰაუს ინვესტმენტი. ფავორიტის ჯგუფი წარმოდგენილია დედა კომპანიით შპს „ფავორიტი სტილი“-ს სახით, ხოლო კოლორ ჯგუფი წარმოდგენილია დედა კომპანიით შპს „გამომცემლობა კოლორი“-ს სახით.

2022 წელს შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტის“ მფლობელობის ქვეშ გადმოვიდა და მის შვილობილ კომპანიებს წარმოადგენს შპს ფავორიტი სტილი 50%-იანი წილით და შპს „გამომცემლობა კოლორი“ ასევე 50%-იანი წილით.

2023 წელს შვილობილი კომპანიების წილებში ცვლილება არ ყოფილა.


შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“-ის 85%-ს ფლობს შპს „პრინტ ჰაუსი“, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ ივანე თევდორაშვილი. 5-5%-ს ფლობენ შესაბამისად რუსლან ჯახაია, დავით ბეგიაშვილი და ნატალია თევდორაშვილი.

კომპანიის იურიდიული მისამართია ჩუბინაშვილის №50, ძველი თბილისის რაიონი, თბილისი, საქართველო.

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა დამფუძნებელთა კრება, ხოლო ყოველდღიურ მართვას ახორციელებს მმართველი პარტნიორი, რომელიც კომპანიაში გენერალური დირექტორის პოზიციას იკავებს.

შპს პრინტჰაუსი	რუსლან ჯახაია	დავითბეგიაშვილი	ნატალია თევდორაშვილი
85%	5%	5%	5%

დამფუძნებლები



შპს “პრინტ ჰაუს ინვესტმენტის” ჯგუფში შემავალი კომპანიები ყოველწლიურად, მსოფლიოს მასშტაბით, მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებში. მიღებული გამოცდილებით, სიახლეების გაცვლით, ხდება წარმოებაში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა, რაშიც გვეხმარებიან მოწვეული, უცხოელი სპეციალისტებიც. მუდმივი ზრდისთვის და განვითარებისთვის კომპანიები ყოველთვის ზრუნავენ თანამშრომლების გადამზადებასა და მოტივაციაზე. 2023 წლის მონაცემით შპს “პრინტ ჰაუს ინვესტმენტის” ჯგუფში საშუალოდ დასაქმებული იყო 630-მდე ადამიანი.


კომპანიის საოპერაციო გარემო და წარმოქმნილი რისკების შეფასება

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტის“ შვილობილი კომპანების სტრუქტურა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“ 31.12.2023-ის მდგომარეობით ფლობს წილებს შემდეგ კომპანიებში:

- შპს ფავორიტი სტილი - 50 %

პოლიგრაფიულ ბიზნესში ერთ-ერთი წამყვანი კომპანია, შეძენილია 2022 წლის აპრილში, ფლობს მანქანა-დანადგარებს რომლის წარმოება განთავსებულია თბილისში, ენუქიძის N5-ში. მისი იურიდიული მისამართია ჩუბინაშვილის N50. კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს ბეჭდვითი მომსახურება - წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, ბიზნეს ბარათების, ფლაერების, ბროშურების და შესაბამისი მასალების დამზადება და მიწოდება.

- შპს გამომცემლობა კოლორი - 50 %

კომპანია შეძენილია 2022 წლის მაისში, მისი ძირითადი საქმიანობაა წიგნების და სხვა პოლიგრაფიული მასალების ბეჭდვა. კომპანია ფლობს მიწას, შენობა-ნაგებობებს და მანქანა-დანადგარებს. მისი მანქანა-დანადგარები და ძირითადი საქმიანობა შეუერთდა ფავორიტი სტილის საქმიანობას, რომელიც მდებარეობს თბილისში, ენუქიძის N5-ში. მისი იურიდიული მისამართია თბილისი, ბაღდავაძის N3.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის

კონსოლიდირებული ფინანსური კოეფიციენტები

ფინანსური კოეფიციენტები	2023	2022
საერთო მოგება/შემოსავალი	29%	27%
წმინდა მოგება/შემოსავალი	10%	23%
EBITDA/შემოსავალი	14%	11%
ადმინისტრაციული ხარჯი/შემოსავალი	-16%	-17%
წმინდა მოგება/საშ. წლიურ აქტივებთან	15%	47%
წმინდა მოგება/საშ. წლიურ კაპიტალთან	50%	159%

საწესდებო კაპიტალში მომხდარი ცვლილებები

2023 წლის ბოლოსთვის შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტი“ საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს 4,895,658 ლარს. საწესდებო კაპიტალში 2023 წელს ცვლილებებს ადგილი არ ქონია.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ:

- აიღო სესხი 8,940,169 ლარის ოდენობით;
- დაფარა მიღებული სესხი 824,402 ლარის ოდენობით;
- გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 3,338,232 ლარის ოდენობით;

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტში“, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

მენეჯმენტის სახელით

გენერალური დირექტორი
ივანე თევდორაშვილი

30/12/2024

თბილისი, საქართველო

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიაში:

- აიღო სესხი 8,940,169 ლარის ოდენობით;
- დაფარა მიღებული სესხი 824,402 ლარის ოდენობით;
- გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 3,338,232 ლარის ოდენობით;

შპს „პრინტ ჰაუს ინვესტმენტში“, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს აღგილი არ ქონია.

მენეჯმენტის სახელით

გენერალური დირექტორი
ივანე თევდორაშვილი



30/12/2024

თბილისი, საქართველო